ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევები (კომპეტენციები):

ზოგადი კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი; უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი; პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი;
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები

- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების ცოდნა;
- ბიზნესის ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოგისტიკის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ზოგადი მენეჯმენტის, ბიზნესის ეკონომიკის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
- ბიზნესის სფეროში არსებული ტერმინოლოგიის ცოდნა;

- ბიზნეს-პრობლემების რაოდენობრივი და სტატისტიკური შეფასების უნარი;
- ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს აღქმის უნარი; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კროსკულტურული პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი;
- ორგანიზაციაში პროცესების იდენტიფიცირების უნარი;
- ორგანიზაციაში პროცესების ეფექტიანობის გაზომვის უნარი;
- ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრის უნარი;
- მარკეტინგული მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების უნარი;
- ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების უნარი;
- ფინანსური ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარი;
- ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაციის უნარი;
- ფინანსური ინფორმაციის ანალიზის უნარი;
- საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენების უნარი;
- საწარმოსა და დაწესებულების ბიუჯეტის მომზადების უნარი;
- პროექტის მიზნისა და ამოცანების ფორმულირების, შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრის უნარი;
- პროექტისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრის უნარი;
- ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად ყველა შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;
- კომპლექსური ფინანსური ამოცანების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დამოუკიდებლად მოქმედების უნარი.